ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3510600

ნომერი: AR1536457

თარიღი : 31.08.2017

გაცემის თარიღი : 01.09.2017

გაცნობის თარიღი : 02.09.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩიქოვანი , N 16ა / ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩიქოვანი , N 16ა-ს მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩიქოვანი , N16 -ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩიქოვანი , N16ა -ს მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მალხაზ ცერცვაძე პ/ნ 01008007125
- თბილისი ს.ჩიქოვანის ქ. N 37 ბ. 1

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 20 ივნისის №3336547 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 31 აგვისტოს №AR1536457 განცხადებით მომართა მოქალაქე მალხაზ ცერცვაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2017 წლის 20 ივნისის №3336547 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 20 ივნისის №3336547 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ჩიქოვანის ქ. №16ა-ში/ ქ. თბილისში, ჩიქოვანის ქ. №16ა-ს მიმდებარედ, შპს ,,ჩიკო"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.14.14.008.029), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. ამავე ბრძანებით მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 20 ივნისიდან 2018 წლის 20 ივნისის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში. კერძოდ, საცხოვრებელ ფართობად 898.7 კვ.მ-ის ნაცვლად დაფიქსირდა 820.8 კვ.მ, საზაფხულო ფართობად 189.6 კვ.მ-ის ნაცვლად 276.2 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობად 349.8 კვ.მ-ის ნაცვლად 386.5 კვ.მ, საერთო ფართობად 1724.8 კვ.მ-ის ნაცვლად 1770.2 კვ.მ.
სამსახურმა 2017 წლის 31 აგვისტოს №AR1536457 განცხადებით წარმოდგენილი შესწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა სამსახურის 2017 წლის 20 ივნისის №3336547 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას. დადგინდა, რომ ვინაიდან შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციაში შეცდომით იქნა მითითებული საცხოვრებელი, საზაფხულო, ავტოსადგომის და საერთო ფართობები, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 20 ივნისის №3336547 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 20 ივნისის №3336547 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს საცხოვრებელი ფართობი 898.7 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 189.6 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობი 349.8 კვ.მ, საერთო ფართობი 1724.8 კვ.მ.
2. სამსახურის 2017 წლის 20 ივნისის №3336547 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 20 ივნისის №3336547 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.